



მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה


„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი
(ელული)
15-30
№18 (352)
(5771)
2011


“מנורה”
עיתון יהודי
בגורגיה

**29-30 სექტემბერი – რთვ ჰაზანა
ებრაული ასაღი წელი**

გილოცავთ!



ისრაელის პრეზიდენტის — ბატონ შიმონ პერაისის მიმართვა ებრაელი დიასპორისადმი ახალი, 5772 წლის დადგომასთან დაკავშირებით



ძვირფასო მეგობრებო!
იმედია, კარს მომდგარი ახალი წელი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდისკენ ჩვენი მისწრაფების უკეთ გაანალიზებას მოგვითმავს, რამდენადაც, ჩვენი უპირველესი მიზანი, კვლავინდებურად, ებრაელი ხალხის უსაფრთხო მომავლის უზრუნველყოფა და ისრაელსა და ებრაულ დიასპორას შორის კავშირის გამყარებაა.

გასულ წელს ჩვენს რეგიონში დრამატული ცვლილებების მომენი გავხდით, რომლებმაც ახლო აღმოსავლეთის სახე სამუდამოდ შეცვალა. ამ ცვლილებებს ახალგაზრდა თაობას უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც დამორგუწველი რეჟიმებისგან გასათავისუფლებლად თავდაუზოგავად იბრძოლა. დემოკრატიისა და თავისუფლებისკენ რეგიონის ლტოლვა ისრაელისთვისაც ხელსაყრელია და მისი პროგრესისადმი ყურადღებას არც მომავალში მოვადუნებთ.

ისრაელსა და დიასპორაში მცხოვრებ ებრაელებს საერთო ინტერესები და მომავალი აქვთ; ისინი ერთმანეთზე პასუხისმგებელი არიან. ეს კავშირი კი არ უნდა შესუსტდეს, არამედ უნდა გაძლიერდეს. ამრიგად, ახალგაზრდებისთვის ისრაელის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება და ისრაელთან მათი კავშირის გაძლიერება უაღრესად მნიშვნელოვანია. არც ის უნდა დაგვავი-

წყდეს, რომ ისრაელელი ახალგაზრდები დიასპორის დებისა და ძმების ცხოვრებაშიც კარგად უნდა იყვნენ ჩახედულნი. ყველამ, ისრაელსა თუ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ადამიანებმა, კარგად უნდა გავითავისოთ, რომ ისრაელი თითოეულ ებრაელს ეკუთვნის და ისრაელისა და დიასპორის მჭიდრო ურთიერთობა ერთმანეთთან დასაკავშირებელი ხდება. ერთად ჩვენ შევძლებთ მომავლის შექმნას, რომელიც თიკუნ ოლამისა და მშვიდობის ებრაულ ღირებულებებზე იქნება დამყარებული.

მომავალი წელი ისრაელის, მთელი რეგიონისა და მსოფლიოსთვის კრიტიკული პერიოდი იქნება, წინ ბევრი გამოწვევა გველის. გარე საფრთხეებთან ერთობლივი ძალებით შეჭიდება მასთან გამკლავებას შეგვძლებს. თუმცა, 5772 წელი დიდი შესაძლებლობების პერიოდადაც შესახება და, იმედი მაქვს, ამ შესაძლებლობებს ზრდისა და უსაფრთხოების გამყარებისთვის გამოვიყენებთ.

უკეთესი მომავლის იმედით, მიწა, მთელს მსოფლიოში ებრაელ ერს იერუსალიმიდან მშვიდობიანი, ბედნიერი, ჯანმრთელი და წარმატებული ახალი წელი ვუსურვო.

შანა ტოვა!

შიმონ პერაი
ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ვახტანგ ჯაოხვილი: განსაუთრებით მიხდა ეს ახალი წელი ქართველ ებრაელებს მივულოცო როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში



ხელმძღვანელობით და ქალაქ თბილისის მერიის შემწეობით დიდებული მწერლები იყვნენ ჩამოსული. მიხდა თბილისის მერიას, მაყვალა გონაშვილს, გურამ ბათიაშვილს ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადო. მწერლებს საშუალება მიეცათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩატარებინათ ქართული პოეზიის საღამო, ნაკეთხათ როგორც ნაწყვეტები ვეფხისტყაოსნიდან, ასევე თავიანთი ლექსები. ბუნებრივია, ამას ძალიან დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

— ამჟამად ისრაელი რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაშია, 23 სექტემბერს კი დანიშნულია გაეროში კენჭისყრა პალესტინის სახელმწიფოს ცნობასთან დაკავშირებით. როგორ შეაფასებდით ამ მოვლენებს?

— ისრაელის შიდა პოლიტიკა ძალიან საინტერესოა, სამასი ათასამდე ადამიანი სოციალური პროტესტი გამოხატა. ახლა მთავრობასა და პროტესტანტებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. იმედი მაქვს, მშვიდობიან შეთანხმებას მივალნევენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, დემოკრატიულ ქვეყანაში ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება. ბუნებრივია, ისრაელის უსაფრთხოების მოთხოვნები გათვალისწინებულ უნდა იქნას. რაც შეეხება გაეროს გენერალურ ასამბლეას, პროგნოზი რთული სათქმელია. ყველაფერი 23 სექტემბერს გადანყდება.

— ახლოვდება ებრაელი ხალხის ახალი წელი, ამასთან დაკავშირებით რას ეტყოდით ქართველ ებრაელებს?

— მიხდა ვისარგებლო შემთხვევით და მთელ ებრაელებს მივულოცო ახალი წელი. ვუსურვო მშვიდობა, ჯანმრთელობა, ბედნიერება და წინსვლა ცხოვრებაში. ებრაელ და ქართველ ხალხს ძალიან დიდი ხნის მეგობრობა და სიყვარული გვაკავშირებს, ეს ისეთ მყარ საფუძველზეა აგებული, რომ დარწმუნებული ვარ, მომავალში უფრო გაღრმავდება. ძალიან მიხარია, როდესაც საქართველოში ისრაელელ ტურისტებს ვხვდავ, მათმა რაოდენობამ წელს 40 პროცენტით მოიმატა. არ მინახავს საქართველოდან წასული ისრაელელი, რომელიც ჩვენს ქვეყანაზე ალტაცებით არ ლაპარაკობდეს.

დარწმუნებული ვარ მომავალშიც ასე გაგრძელდება. განსაკუთრებით მიხდა ეს ახალი წელი ქართველ ებრაელებს მივულოცო, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში და სიხარული და ბედნიერება ვუსურვო.

ბატონი ვახტანგ ჯაოხვილი თბილისში საქართველოს ელჩების ყოველწლიურ შეკრებაზე გახლდათ ჩამოსული. წინამდებარე ბლიცინტერვიუ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ სახელდახელოთ ჩავინერეთ.

— წელს 25 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, იერუსალიმში გრანდიოზული ღონისძიება ჩატარდა — ქართული კულტურის მოღვაწეებმა აჩვენეს თავისი დიდი ხელოვნება. საელჩო თუ ამზადებს ახლო მომავალში ანალოგიურ ღონისძიებას?

— რა თქმა უნდა, შეიძლება იგივე მასშტაბის არ იყოს, მაგრამ მომავალ წელს საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას 20 წელი უსრულდება, გვინდა რომ ეს წელი კულტურული ღონისძიებების ჩატარებისთვის მაქსიმალურად გამოვიყენოთ. იმედი მაქვს, ერთობლივი ძალებით ყველაფერს შევძლებთ.

— თქვენს მიერ ჩატარებულ ქართული კულტურის დიდებულ საღამოს მოჰყვა „შოთა რუსთაველის დღეები — ქართული პოეზიის კვირეული“. როგორ შეაფასებთ მისცემდით ქართული პოეზიის კვირეულის ჩატარებას იერუსალიმში?

— ძალიან საინტერესო კვირეული იყო. საქართველოდან მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის, ბატონ გურამ ბათიაშვილის

რომ ჰაშანის მილოცვა

მთელი მსოფლიოს ებრაელები 28 სექტემბერს საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ იზეიმებენ ახალი 5772 წლის დადგომას. დღესასწაული გაგრძელდება ორ დღეს — 29 და 30 სექტემბერს და დასრულდება 30 სექტემბერს სამი ვარსკვლავის ამოსვლის შემდეგ.

რით განსხვავდება ეს დღესასწაული სხვა დღესასწაულებისაგან? იმით, რომ ყველა სხვა დღესასწაული თვის შუა დღეებშია, მხოლოდ რომ ჰაშანა იწყება თვის პირველ რიცხვში, ანუ 1 თიშრეიში, ახალმთვარეობაზე. მხოლოდ თიშრეის თვეში ამ დღეს ცაზე მთვარე არ ჩანს ისევე, როგორც თორა პირდაპირ არ მიგვითითებს იმაზე, რომ რომ ჰაშანა სასამართლოს დღეა. ეს იმის გამოა, რომ ცოდვის ჩადენის შიში მთელი წლის განმავლობაში შევინარჩუნოთ და მონანიება რომ ჰაშანამდე არ გადავლოთ. დღესასწაულის დღეებში კი სინაგოგებში შოფარს უკრავენ, რათა ჩვენში მონანიების, გამჩენისაკენ შემობრუნების სურვილი უფრო მეტად გაღვივდეს. ეს ხომ ის დღეა, როდესაც გამჩენი ქმნის სამყაროს, სახელმწიფოებს და თითოეულ ადამიანს, წერს ჩვენს მომავალს ერთი წლის განმავლობაში და ათი დღის შემდეგ, იომ ქიფურში ბეჭდით ამტკიცებს.

მიუხედავად იმისა, რომ რომ ჰაშანა სასამართლოს დღეა, ჩვენ მაინც ვმხიარულობთ იმ იმედით, რომ გამჩენი კიდევ ერთხელ გვაპატიებს და სიცოცხლის ნივთში ჩავგწერს. სადღესასწაულო სუფრასაც ის პროდუქტები ამშვენებენ, რაც სიტკობის, მიცვების გამრავლების, ცხოვრების სათავეში ყოფნის და მტრების, პირველ რიგში, ჩვენი იეცერის დამარცხების სიმბოლოებად წარმოგვიდგება. სუფრის ერთ-ერთი ატრიბუტი ტკბილი ვაშლი ჩვენი დიდი მამის იაკოვის სურნელის მატარებელია. ამ სურნელის გამო მას ჩვენმა დიდმა მამამ — იცხაკმა განსაკუთრებული ბერაზა მისცა. ყოველი ჩვენთაგანი ძალას იაკოვისგან ვიღებთ და ამიტომაც, რაც არ უნდა ჩავეფლოთ ცოდვების მორევში, აუცილებლად შევძლებთ მონანიებას და გამჩენთან დაბრუნებას.

თიშრეის პირველი რიცხვიდან იომ ქიფურამდე ზეცა განსაკუთრებითაა გახსნილი ჩვენი ლოცვებისათვის, თხოვნებისათვის, მონანიებისა და პატიებისათვის. მაშ, მოვინანიოთ წრფელი გულით ყველა ცოდვა, შევთხოვოთ გამჩენს მშვიდობა მსოფლიოში, თითოეულ თემში, ყოველი ჩვენგანის ოჯახში.

საქართველოს ებრაელებო, სადაც არ უნდა იყოთ, გისურვებთ, ტკბილ, ბედნიერ, ხვავიან, ბარაქიან, მშვიდობიან, ნაყოფიერ, მიცვების გამრავლების წელს. თითოეული ჩვენი მიცვა ხომ მამახის მობრძანებას დააჩქარებს.

საქართველოს მთავარი რაბინი **არიელ ლევინი**
საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი **ავიმელხს როზენგლათი**

როგორ მოვემზადეთ რომ ჰაშანისათვის?

რომ ჰაშანის მოახლოებასთან დაკავშირებით „მენორას“ კორესპონდენტი ენვია თბილისის ბეით ქნესეთებს. საუბრის მთავარი თემა გახლდათ, თუ როგორი სულისკვეთება სუფევს სალოცავებში დღესასწაულის წინ, რა სიახლეები შეინიშნება, ჩვენს მთავარ სალოცავ კერებში.

რაბი რახანიმ მორდოხაშვილი: რომ ჰაშანა არის ახალი წელი, სამართლის დღე, როდესაც ყველა სამართლები, მთელი სამყაროს ბედი წყდება. თორა გვასწავლის, რომ საჭიროა ხალხმა მოინანიოს თავისი ცოდვები, რისთვისაც ელულის თვიდან იომ ქიფურამდე ყოველი გამთენიის ხანს ვლოცულობთ განსაკუთრებულ ლოცვას — სელიხოთს, გამჩენს ვთხოვთ პატიებას ჩვენი შეცდომების გამო — თუ ცხოვრებაში, ნებისა ან უნებლიეთ, შეცდომები დავუშვით 40 დღის განმავლობაში უნდა მოინანიოთ. ღმერთს ვთხოვთ პატიებას, რომ შეგვინდოს. ასე რომ ჩვეულებრივ ლოცვებთან ერთად, ვკითხულობთ პატიების ლოცვას. ეს არის რომ ჰაშანის წინ პირველი მოსამზადებელი ნაბიჯი. შემდეგ ადამიანებსაც უნდა ვთხოვთ პატიება, ღმერთი ისე არ შეგვინდოს, თუ ერთმანეთს არ ვაპატიებთ. კიდევ მიღებულია, რომ ამ დღეებში უფრო მეტი სიკეთე გააკეთონ, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში. რომ ჰაშანის დღეს ვუკრავთ შოფარს, რომ ამ ხმამ გააღოს კარები ზეცაში და ჩვენი ლოცვები მიღებულ იქნას. ვთხოვთ ღმერთს, რომ თუ ჩვენ მიერ გაკეთებული კეთილი საქმეები საკმარისი არ არის, ჩვენი წინაპრების დამსახურებაც გაიხსენოს და მათი დამსახურებით მაინც მიიღოს ჩვენი ლოცვები. ასევე ამ დღეს იმლება განსაკუთრებული სარომაშანო სუფრა, ამ ტრადიციას გარკვეული სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. საკვებს ამოვავლებთ თავლში და ღმერთს ვთხოვთ ტკბილი წელიწადი დაგვიყენოს. რომ ჰაშანაში მხოლოდ ებრაელობისათვის როდი ვლოცულობთ, ამ დღეებში ვლოცულობთ მთელი სამყაროსთვის, უზენაეს ვევედრებით, რომ იყოს მშვიდობა, არ იყოს ომები, იმ სახელმწიფოში სადაც ჩვენ ვცხოვრობთ ყველაფერი კარგად იყოს, რომ ღმერთმა მოგვცეს საკმარისი წვიმა, მზე, რომელიც

საჭიროა მოსავლისთვის. ეს არის დღე, როდესაც მთელი ებრაელობა ლოცულობს ადამიანების სიკეთისათვის. თორა გვასწავლის რომ რომ ჰაშანიდან 10 დღის განმავლობაში, იომ ქიფურამდე, მთელ სამყაროში მცხოვრები ხალხი ღმერთის წინაშე წარსდგება და ღმერთი გადანყვეტს თუ როგორი მომავალი ექნება მას ერთი წლის განმავლობაში. რაც რომ ჰაშანის დღეს დაინერება იომ ქიფურში იბეჭდება.

ბეით ქნესეთის სამომავლო გეგმებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ გვესაუბრება სალოცავის გაბაი **ფირუზ ქორიზაშვილი.**

— დიდ სინაგოგაში მიმდინარეობს რემონტი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რუსეთში მცხოვრებ ბიზნესმენს დავით იაკობაშვილს, რომელმაც ამ მიზნისთვის სერიოზული თანხა გამოყო. ძალიან დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი პირველიდან მესამე სართულის ჩათვლით. მშენებლები იმუშავენ 23-24 სექტემბრამდე, შემდეგ შევწყვეტთ პროცესს და დაიწყება საქალბო განყოფილების დასუფთავება. რაც შეეხება მომდევნო ეტაპს, სარემონტო სამუშაოებს ოქტომბრის შუა რიცხვებიდან განვაახლებთ. დამთავრდება მესამე სართულის შეკეთება და სამუშაოები პირველ სართულზე გადმოინაცვლებს. სავარაუდოდ, მთელი პროცესი აპრილამდე გასტანს. ბევრი რამ იცვლება. იატაკი მთლიანად უნდა გამოიცვალოს, შენობის სამხრეთი კედელი მოიშლება და ახალი გაკეთდება, მოხდება მოხატულობის რესტავრაცია, ბეით ქნესეთში მდებარე ავეჯიც განახლდება. ამ დღესასწაულზე პრეზიდენტს მიხილ სააკაშვილსაც ველოდებით, სავარაუდოდ, მოვა და მოგვილოცავს რომ ჰაშანას.

— მომავლის გეგმებს რაც შეეხება ვფიქრობთ, რომ ჩვენს ერს გაუადვილოთ დღევანდელი ყოფა. ჩვენი ადათ-წესებიდან გამომდინარე განსაკუთრებული საკვები პროდუქტებით უნდა ვიკვებოთ, ამიტომ ამ კუთხითაც ვაპირებთ წინსვლას. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, თუ რა დროში გავაკეთებთ ამას. მომავალში ჩვენი ერისთვის ბევრი სასიკეთო საქმის



კეთებას ვგეგმავთ.

— როგორ მიმდინარეობს ბეით ქნესეთის ებრაელ ხალხის საკუთრებაში გადასვლის საკითხი?

— ამ საკითხზე ვმუშაობთ. მქონდა საუბარი თემურ იაკობაშვილთან. ეკონომიკის სამინისტრომ ეს საკითხი საგარეო საქმეთა სამინისტროში გადააგზავნა და ალბათ, ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ საჭიროდ ჩათვალა, რომ ეს საკითხი ებრაელ თემურ იაკობაშვილს მოეგვარებინა. საჯარო რეესტრში ყველა საბუთი მიტანილია იმისთვის, რომ ეს შენობა ებრაელთა კავშირის საკუთრებაში დარეგისტრირდეს. არავინ გვედავება, თუმცა, გვინდა რომ ფორმალური მხარეც მოვანერვიოთ.

— რომ ჰაშანაზე ისრაელიდან ხახამს ხომ არ ელოდებით?

— რომ ჰაშანაზე ასეთი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. იომ ქიფურში ერთხელ ჩამოვიდა ხახამი და ილოცა. ჩვენ გვყავს რაბი რახანიმ მორდოხაშვილი, დავით აზიზოვი, ძალიან განათლებული ადამიანები, რომლებმაც ყველა წესი კარგად იციან და მომავალ დღესასწაულზე ისინი ილოცებენ.

იოსებ მოხიაშვილი: („ბეით რახელის“ — აშქენაზთა ბეით ქნესეთი— გაბაი):

— ახლოვდება რომ ჰაშანა — ებრაული წლის დასაწყისი, რომელიც 1 და 2 თიშრეს (გრიგორიანული კალენდრის მიხედვით 29, 30 სექტემბერს) აღინიშნება. ახლა კი, ჩვენ „ელული“-ს თვეში ვიმყოფებით. არსებული ტრადიციით — ჩვენ გვაქვს 40 დღე იმისათვის, რომ ღრმად ჩავუფიქრდეთ ნამოქმედარს, გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები და მოვიინანიოთ ისინი. ყოველ დღით, შაბათის გარდა, სალოცავში „ბეით რახელ“ იკითხება დამატებითი ლოცვები — „სელიხოთი“ (რაც ივრითზე — „პატიება“-ს ნიშნავს). წელს, პირველი ასეთი ლოცვა ჩვენს სალოცავში, შუალამის შემდეგ იქნა ნაკითხული, ხოლო შემდგომ - დილის 7 საათზე იკითხება „მინიანი“-ს დასწრებით. როგორც ცნობილია, რომ ჰაშანაში ხორციელდება ყოველწლიური ღვთაებრივი სასამართლო მთელს სამყაროზე და თითოეულ ადამიანზე ცალკე, ანუ წყდება ჩვენი ბედი მომავალი წლისათვის. ხოლო ღვთაებრივი გადანყვეტილება საბოლოოდ მტკიცდება — „ბეჭდით მონმდება“ იომ ქიფურის (მიტევების, განკითხვის, გამოსყიდვის დღის) შემდეგ.

რომ ჰაშანისათვის მზადების საკვანძო მომენტია — პატიება. ამგვარი თხოვნით ადამიანი მიმართავს ყველას, ვისაც შესაძლოა, აწყენინა მიმდინარე წლის განმავლობაში. შეძლებისდაგვარად ჩვენ უნდა დავინყოთ ახალი წელი „სუფთა ფურცლიდან“ ისე, რომ ჩვენი გარემოცვიდან არავინ არ იყოს ჩვენგან გულნატკენი. ამავე დროს ჩვენ თავად უნდა ვიყოთ მზად შეუვნდოთ სხვას. სასიხარულოა, რომ ასეთი სულისკვეთება სუფევს ჩვენს სალოცავში, ამას ვსწავლობთ და ამისკენ მივიწინააფით.

არსებობს ტრადიცია, რომ რომ ჰაშანის შემობრძანების დღის მეორე ნახევარში მიდიან მიკვეში. სიხარულით მინდა ვაცნობო ყველას, ვინც ჯერ კიდევ არ იცის, რომ ჩვენს სინაგოგაში უკვე რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს მიკვე მამაკაცებისათვის, რომელიც მუდამ არის მზად მიიღოს ნებისმიერი მსურველი.

კიდევ ერთ საკითხზე მინდა მინდა გავამახვილო ყურადღება: მიღებულია დილით, რომ ჰაშანის შემობრძანების დღეს, საფლავებზე გადასვლა და წმინდანების საფლავებზე ლოცვა, ხოლო ღმერთი მათი, წმინდანების, დამსახურების მეოხებით ისმენს ჩვენს ლოცვებს. მინდა დიდი სიხარულით ვაცნობო გაზეთის მკითხველს: ყველას, ვინც კიდევ არ იცის, რომ უფლის შეწევით, მოინახა ისეთი ღვთისნიერი ადამიანები, რომელთაც დიდძალი თანხები გამოყენებულა თბილისის ე.წ. „ორთაჭალი“-ს ებრაული სასაფლაოს მოსავლეად. ახლა იქ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს სამშენებლო და განმენდითი სამუშაოები. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მხოლოდ დღევანდელი დღით არ ცხოვრობს და იცის, რომ მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს, ყველას, ვისაც ბეით ქნესეთში შემოაქვს შემონიურლობის სინაგოგების მშენებლობისათვის, გასარემონტებლად, ღარიბებისა და სოციალურად დაუცველების, „ემიგრები“-ს ნორმალური ფუნქციონერებისათვის. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ისინი!

ყველას გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.



ისრაელის საელჩო საქართველოში

პრესრელიზი

ისრაელის საელჩო საქართველოში აღმფოთებას გამოთქვამს ციხეში ისრაელის მოქალაქეების — რონ ფუქსისა და ზევე ფრენკელის მიმართ უხემ და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. ისრაელის საელჩომ საპროტესტო წერილები უკვე გაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახალხო დამცველს.

რუსეთი კვლავ იმად რჩება, რას იყო

გაზეთმა „ედით ახრონოთმა“ გამოააშკარავა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის (გაერო, ევროკავშირი, აშშ, რუსეთი) მონაწილე რუსეთი, თუ როგორ იცავდა პალესტინელთა ინტერესებს — „ზუსტად ისევე, როგორც ცივი ომის წლებში“. რუსეთის პირველი დიპლომატი — სერგეი ლავროვი იმის წინააღმდეგაც კი გამოვიდა, რომ კვარტეტის რეზოლუციაში ისრაელი აღიარებული ყოფილიყო ებრაულ სახელმწიფოდ. რუსეთმა მოითხოვა, ისრაელი ვალდებული გახადონ დაუბრუნდეს 1967 წლის საზღვრებს. ასევე რეზოლუციაში შევიტანოთ, რომ არცერთ, ებრაულ დასახლებას არა აქვს კანონიერი სტატუსი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ფარგლებში აქცევს არა მხოლოდ იუდეისა და სამარიის დასახლებულ პუნქტებს, არამედ თითქმის 20.000-იან ქალაქ არიელს და იერუსალიმის სამხრეთით მოქცეულ რაიონებს.

რუსეთის მოთხოვნას დაუპირისპირდნენ ამერიკელები და ევროკავშირი. რუსებმა უაღრესად მტკიცე პოზიცია დაიჭირეს და ვეტო დაადეს ისრაელის ებრაულ სახელმწიფოდ აღიარების საკითხს, რასაც მოითხოვდა ისრაელი. დისკუსია საკმაოდ მაღალ ტონებში მიდიოდა. შეიქმნა იმის საშიშროება, რომ აშშ, გაერო და ევროკავშირი საკუთარ რეზოლუციას გამოაქვეყნებდნენ, რაც რუსეთს კვარტეტის მიღმა დატოვებდა, — აღნიშნავს Ynet-ი. როცა რუსებს აგრძობინეს, თუ რით შეიძლება დამთავრდეს ეს კამათი, მათ პოზიცია შეარბილეს. თუმცა, კვარტეტის საბოლოო რეზოლუცია რუსებისადმი კომპრომისის გამო, კონკრეტულად დასცილდა. ეს ხელს აძლევდა ისრაელელებს, პალესტინელები კი გააღიზიანა.

წინასწარმეტყველები და წინასწარმეტყველური ლიტერატურა შალომ დავიდი

ამ პერიოდს თავისეულ გამოსვლებში, ორატორიული ხელოვნების სწორუპოვარ ნიმუშად რომ არის მიჩნეული, იეშაია დასცინის ასირიის მეფის თავდაჯერებულობასა და თავის მოტყუებას, თითქოსდა მისი გამეფება გამიზნულია მსოფლიოს დაპყრობისათვის. ასირიის ძლევამოსილების გაფურჩქვნის და აყვავების ხანაში იეშაია წინასწარმეტყველებს ამ იმპერიის დამხობას.

იეშუდას მეორე უდიდესი წინასწარმეტყველი იყო ირემიაჰუ, რომელმაც პირადად განიცადა იეშუდას დაპყრობა, იერუსალიმის აოხრება და განდევნის პირველი წლები. წარმოშობით, ის ეკუთვნოდა უბრალო სამოძღვრო ოჯახს, იერუსალიმის შემოგარენში რომ ცხოვრობდა. წინასწარმეტყველური მოღვაწეობა მან დაიწყო იეშუდას რეფორმების შთაბეჭდილებით, ასირიის იმპერიის რღვევის კრიტიკულ ხანაში. ირემიაჰუ ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა ეგვიპტის განდევნილობაში, მე-6 საუკუნის 80-იან წლებში.

ირემიაჰუ ახალბაბილონური იმპერიის სწრაფი ზრდის მოწმე იყო, მოკლე ხანში რომ დაეუფლა ყოფილი ასირიის ძლევამოსილი სახელმწიფოს თითქმის მთელ ტერიტორიებს. ამ გიგანტთან ბრძოლის უშედეგობას, იგი რეალურად წარმოსახავდა. მისი აპოკალიფსური წარმოსახვით ბაბილონი მხოლოდ „70 წელს“ იარსებებდა, რაც წინასწარმეტყველურ მეტაფორებში ნიშნავს ადამიანური ცხოვრების ზღვრულ, უკიდურეს ხანგრძლივობას.


ირემიაჰუ იეშუდა მეფისა და მის დიდებულთაგან მოითხოვდა იმას, რასაც იეშაია 100 წლის წინ ქადაგებდა: განეხორციელებინათ აზრთა და ძალთა კონცენტრაცია ზნეობრივ სრულქმნილებაზე, რეალურად გარდაესახათ სოციალური სამართლიანობა, ჭეშმარიტი მართლმსაჯულება და განრიდებოდნენ აჯანყების იდეას. თავისი წარმოშობის გამო, ირემიაჰუ განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩაგრული მასების ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. ის მთელი სიმკაცრით კიცხავდა ტაძრის მოძღვრებას და მსახურებს, რომელნიც ფარავდნენ სოციალურ უსამართლობას, უკანონობას. მდაბიო ხალხს სჯერა, რომ ტაძრის არსებობა და იქ მსხვერპლის შეწირვა იეშუდას გამოიხსნის ყველა გაჭირვებიდან, და ეს სიბრძნე, წინასწარმეტყველის სიტყვებით, გამოიწვევს ტაძრის და ქვეყნის აოხრებას (ირემიაჰუ, თავი 7).

მაგრამ, რაჟამს ხალხს თავს დაატყდა ყველა წინასწარმეტყველები უბედურება და შავსიანობა, ირემიაჰუ გარდასახა ნუგეისმცემელ წინასწარმეტყველად. ალყის საშინელ დღეებში (ჩვე. 587/6 წ. წ.), ქადაგებათა გამო პატიმარდქმნილი ირემიაჰუ, ომის შეწყვეტას და ბაბილონისადმი დამორჩილებას რომ მოითხოვდა, განჭვრეტდა ახალ აღზევება-აღორძინების დროებითი განდევნის შემდეგ: - „აჰა, მოანვეს ჟამი, ამბობს უფალი, როცა აღვასრულებ სასიკეთო სიტყვას, რაც კი წარმოვსთქვი ისრაელის სახლელულზე და იეშუდას სახლელულზე. ის დღეებში და იმჟამად გამოვანი-აღებ დავიდეისათვის სამართლიან ყლორტს და აღვასრულებ სამართალსა და სიმართლეს ქვეყნად. იმ დღეებში გადარჩება იეშუდა და იერუსალიმი უსაფრთხოდ დამკვიდრდება, და ასე უწოდებენ მას: ჩვენი სიმართლეაო უფალი“ (ირემიაჰუ. 33, 14-16).

წინასწარმეტყველური აზრის ამ ტიტანთა ნიგნების გარდა, ჩვენამდე მოაღწია სხვა მცირე მოცულობის წინასწარმეტყველურმა კრებულებამაც. ამ „მცირე წინასწარმეტყველთა“ მხოლოდ ერთი მათგანი ჰომეა ცხოვრობდა ისრაელის სამეფოში მისი დაცემის წინ. ყველა დანარჩენის მოღვაწეობა წარმართა ჩვენს ერამდე მე-8 და მე-7 საუკუნეების იეშუდაში. მიხა იყო იეშაიას თანამედროვე; ცეფანია, ნახუმი და ხავაკუკი მოგვევლინენ ირემიაჰუს თანამედროვეებად.

წინასწარმეტყველური ლიტერატურა არ შემწყდარა იეშუდას სამეფოს დაცემით და ტაძრის აოხრებით. ის გრძელდებოდა როგორც ბაბილონის ტყვეობის პერიოდში (იეხიზკიელი, იეშაია II), ასევე „ციონში დაბრუნების“ ხანაში (ხავაი და ზეხარია).

ვანალიზებთ რა წინასწარმეტყველურ-ფილანთროპიის იხ. №17



ლოსოფიური აზროვნების დოქტრინულ საფუძვლებს, მივდივართ ურყევ, უყოყმანო დასკვნამდე: წინასწარმეტყველური ლიტერატურა თავისი მრწამსით, სიცოცხლისუნარიანობით, დინამიზმით, ეფუძნება თორის ხუთნიგნეულის აზრობრივი ჭვრეტის არსსა და რაობას. თორა იძლევა არა მარტო ყოვანაქცევის და რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების წესებს, არამედ ღმერთისა და მისი ნების შეცნობის შესაძლებლობას. ეს ღვთაებრივი მოძღვრება ახალი ძალოვანობით და სიახლით გამოთქვს წინასწარმეტყველებს, რომელთა წყალობით ისრაელის რელიგია მოგვევლინა ახალ გზამკვლევად და გარდაიქცა მთელი კაცობრიობის შთამაგონებელ წყაროდ. წინასწარმეტყველთა მოძღვრება შეიცავს ღვთაებრიობის ახალ განმარტებას, ადამიანური არსის ახალ გააზრებას და რწმენის ახალ ინტერპრეტაციას. წინასწარმეტყველთა ენერგიულმა ცდამ მონოლატრია* გარდაქმნა მონოთეიზმად, ნაციონალიზმი – უნივერსალიზმად. რელიგია გარდასახა არა მარტო წეს-ჩვეულებათა აღსრულებად, არამედ წინდაწინ ცხოვრების არსად და რაობად.

ღვთაებრივი ნების განმარტების ნიჭით აღსავსე წინასწარმეტყველი ფრიად შორს არს ოკულტური, მაგიურ-თეოსოფიური წარმოსახვებისგან. წინასწარმეტყველი თავისი რაობით იყო მიწიერი ადამიანი, ყოველდღიური ცხოვრების მოვლენებით ზრუნავდა მისი, მაგრამ ამ მოვლენებს იგი ალიქვამდა განსაკუთრებულ შუქზე, ღმერთისეულ ნებასთან უშუალო კავშირში.

ამ ნათელი წარმოსახვის წყალობით, წინასწარმეტყველი წარმოადგენდა თავისი თაობის სინდისს. ის ამხილებდა, აფრთხილებდა და წარმართავდა ხალხს. იგი მოვალეობად მიიჩნევდა, რომ ჩარეულიყო ნებისმიერ ზნეობრივ პრობლემათა მოსაგვარებლად, პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ საკითხთა მოსაწესრიგებლად.

წინასწარმეტყველთა მოძღვრების ძირითადი თვისება რელიგიისა და მორალის განუყოფელ ერთიანობაში ვლინდება. ეს იდეა წარმოისახა მნიშვნელოვან ნაბიჯად კაცობრიობის რელიგიური თვითშეგნების განვითარებისათვის, მისი ზნეობრივი შეგნებულობის განმტკიცებისათვის. იმისათვის, რათა შევავსოთ წინასწარმეტყველთა წვლილის დიდი მნიშვნელობა კულტურულ-ზნეობრივი პროგრესის სფეროში, საკმარისია გავიხსენოთ ძველი რელიგიური კულტების უკუღმართობა ანდა, ვთქვათ, პრობლემა, რომელსაც შეეჯახა პავლე, რაჟამს მისმა ახალრწმუნებულმა მრევლმა მიიჩნია, რომ რამდენადაც მათ უზრუნველყოფილი აქვთ ზეციური გადაარჩენა, ისინი ღირსყოფილი არიან მიწიერი ცხოვრების განცხრომისათვის.

რელიგიისა და მორალის ერთიანობა, ცხადია, არ წარმოისახება წინასწარმეტყველთა საკუთარ აღმოჩენად. ეს იდეა მსჭვალავს მთელ ხუთნიგნეულს და საფუძვლად უძევს მოშეს კანონმდებლობას, რომელშიც ხელიხელჩაკიდებულად არს რელიგ-

იურ-ზნეობრივი მითითება. მაგრამ წინასწარმეტყველებთან ეს მჭიდრო კავშირი პირველად მიიკვლევა ბლომდე და დაყვანილია ლოგიკურ დაგვირგვინებამდე, რაც მნიშვნელოვნად წიაღდება რელიგიასა და მორალში.

წინასწარმეტყველთა მიერ ნაუნყები რელიგიისა და მორალის განუყოფლობა – ეს ებრაული კონცეფციის გარდაუვალი დასკვნაა ღმერთზე. ისტორიკოსები არაერთგზის აღნიშნავდნენ, პოლითეიზმიდან მონოთეიზმისაკენ გადასვლა – ეს შეუქცევადი ნახტომია, რაც მუდამდებდა რელიგიური აზროვნების ყველა ელემენტზე. უწყვეტი და გააფთრებული ბრძოლა, რომელიც ისრაელის ისტორიის ადრეულ ეტაპზე მიმდინარეობდა პოლითეიზმსა და მონოთეიზმს შორის, არ თავსდება რიცხოზნეობრივი კამათის ჩარჩოებში. ერთი ღმერთი თუ უამრავი ღმერთები. ამ ბრძოლაში აუცილებლობით იბადება ღვთაებრიობის ახალი გაგება, რომელიც ძირეულად განსხვავდება პოლითეისტურ წარმოდგენათაგან. პოლითეიზმი, რომელიც წიაღდება ბუნების ძალთა და მოვლენათა მრავალგვარობისაგან, პრინციპში მოკლებულია ეთიკურ-სულიერ სანყისს.

ჭეკა-ქუხილი, ზღვის ლევა, მზის მცხუნვარება, ანდა ვარსკვლავთმოსილი ზეცა, პოლითეისტურ რელიგიებში წარმოსახულნი რომ არიან თავყანისცემის ობიექტებად, მოკლებულნი არიან ზნეობრივ თვისებებს. მონოთეიზმი მსგავსი წარმოსახვისგან დამორბეულია, ვით ზეცა დედა-მინისგან. ღვთაებრიობის მიუღწეველ ზნეობრივ მწვერვალს იგი არანაკლებ წარმოაჩენს, ვიდრე მის ერთადერთ მხოლობითობას მათემატიკური გააზრებით. ღვთაებრიობის პიროვნული, ეთიკური ბუნების სწორედ ასეთი გაღრმავებული შემეცნება ისრაელ წინასწარმეტყველებში აღძრავდა სამართლიან გულისწყრომას ნებისმიერი კერპთმსახურების წინააღმდეგ, რომ არაფერი ვთქვათ რა წარმართული წეს-ჩვეულებისგან გამონეწეული ზიზლის შესახებ. წინასწარმეტყველი პირისპირ შეეჯახნენ იმ სამყაროს, სადაც გრძობადობა აკრძალვის გარეშე გამგებლობდა რელიგიასა და ეთიკაში. და ამიტომ ისინი, დაუცხრომლად, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ღმერთისეული ზნეობრიობის არსსა და რაობას, ღვთაების მიერ ადამიანებისადმი წარმოდგენილ მოთხოვნათა ზნეობრივ ხასიათს.

ძირითადად ეთიკურ პრინციპთაგან წინასწარმეტყველები განსაკუთრებით გამოყოფდნენ სამართლიანობის ფუძემდებელ პრინციპს. სამართლიანობას ისინი მიიჩნევდნენ სამყაროს უზენაეს კანონად და თვით ღმერთის მნიშვნელოვან ატრიბუტად: „აღზევდება ლაშქართ უფალი მართლმსაჯულებით, და წმინდა ღმერთი სამართლიანობით განიწმინდება“ (იეშაია, 5:16). პოლითეისტურ რელიგიებში ღმერთები საბრალოდ ანდა მრისხანედ ჩივიან ახირებით. მაშასადამე, იქ ადგილი არა აქვს სამართლიანობას. მაგრამ წინასწარმეტყველთა მიერ შეცნობილი ცოცხალი ღმერთი, პირიქით, სამართლიანია და მისეული გამგებლობა სამართლიანობას ეფუძნება.

გარდა ამისა, პოლითეისტურ რელიგიებში, თითოეულ ღმერთს თავისი სამართალი აქვს და განსაკუთრებული ზნეობრიობა. ამიტომ იქ, პრინციპში, არ არსებობს ზოგადნიშნადი სხვაობა სწორსა და არასწორს შორის, ბოროტსა და კეთილს შორის. ებრაულ-წინასწარმეტყველური მოძღვრება კი იუწყება, რომ ღვთაებრივი სამართლიანობა ემყარება ამ სხვაობის საყოველთაო აღიარებას. სიკეთე – ყოველთვის სიკეთეა. ბოროტება – მუდამ ბოროტებაა. ღვთაებრივი სამართლიანობის უნივერსალური ხასიათი გულისხმობს ერთიან ზოგადნიშნად ნორმათა აღიარებას ღმერთისა და ადამიანის და ადამიანის თავის მოყვანისადმი ურთიერთობებში. ეს თავის მხრივ წარმოშობს წარმოდგენას კაცობრიობის მოდემის ერთიანობაზე, და ამგვარი ერთიანობის დარღვევა – ღვთაებრივი სამართლიანობის შეზღავანება. ეს იდეები არსებობდა მანამდეც, მაგრამ წინასწარმეტყველებმა მათ შემატეს დიდი კონკრეტულობა, საფუძვლიანად შეუფარდეს რა ისინი ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებს.

* მონოლატრია – ერთი ღმერთისადმი თავყანისცემა სხვა ღმერთების უარყოფის გარეშე.

ისრაელში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის საქართველოდანაც იბრძვიან

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ღრმად პატივცემულ ბატონო პრეზიდენტო,
 მოგვართავთ საქართველოს რელიგიურ ევრაელთა ორგანიზაციისა და ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესის განვალური საბჭოს სახელით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესი აერთიანებს მსოფლიოს 25 სახელმწიფოში მცხოვრებ ევრაელებს, ამათ შორისაა საქართველოს ევრაელები, როგორც მსოფლიო ევრაელების განუყოფელი და ინტეგრირებული ნაწილი.

უწინარესადაც, გვსურს გამოვხატოთ ღრმა პატივისცემა თქვენადმი, როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერისადმი, რომლის საგარეო პოლიტიკა დინამიზმით ხასიათდება.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თქვენ პრეზიდენტობის დროს საქართველოში კოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ჩინებული ბანკერი და ქართული სახელმწიფოს სიუზარეთსა და ქართული ეკლესიის დიდებულ ტრადიციას, რომელიც ევრაელებისადმი თანაგრძობითა და პატივისცემით ხასიათდება.

ღრმა ჩვენს შეფუთვებზე იწვევს ერთი გარემოება, რამაც გადაგვანფხვავებინა, მოგვართვით თქვენს, როგორც ჩვენს ლიდერსა და ისრაელის მემკვიდრეს:

თქვენთვის ცნობილია, რომ 23 სექტემბერს

გაერთიანებული ევრების ორგანიზაციის განვალური ასამბლეის სხდომაზე განიხილება პალესტინის ავტონომიის სახელმწიფოებრიობის ცალმხრივად ცნობის საკითხი.

პალესტინის სახელმწიფოებრიობის ცალმხრივად ცნობა უპასუხისმგებლო და ერთგვარ საშუალო პოლიტიკური ნაბიჯია. ცალმხრივად ცნობამ შესაძლოა, რეგიონში გაართულოს და დაძალოს ისედაც მძიმე სიტუაცია, ეს კი გამოიწვევს ახალღობის ესკალაციას.

პალესტინის ცალმხრივად ცნობა ეწინააღმდეგება იმ ფუნდამენტურ დოკუმენტებს, რომელიც მიღებული იქნა ისრაელისა და პალესტინის ლიდერთა მიერ, მათ შორის ოსლოს ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულებები აღიარებდა და მიიღო საქართველოს საზოგადოებრიობამ. ამას აღსებურებს ბაეროს 242, 338 და 1850-ი რეზოლუციები.

ჩვენ, საქართველოს ევრაელებისა და ევრ-აზიის ევრაელთა წარმომადგენლები წინააღმდეგობას ვაჩვენებთ პალესტინის სახელმწიფოს ცნობის, მგზავს სახელმწიფოს შექმნა-აღიარებას წინ უძღვდეს სერიოზული, უპირობო მოლაპარაკებები ისრაელისა და პალესტინის ლიდერებს.

სამშვიდობო მოლაპარაკებებს უმთავრეს მო-

მენტად მივიჩნევთ და აი, რატომ: ახლო აღმოსავლეთის ეს რეგიონი ერთგვარ ფეთქებადსაშიშროა. ვაითუ, გაერთიანებული კონგრესისა ავტონომიის ცნობაზე ხმის მიცემა სათავე დაუდოს ახალ სისხლისღვრას. ეს კი ნიშნავს: ის ვინც ხმას მისცემს პალესტინის აღიარებას, ხმას მისცემს ძალადობის ესკალაციას.

ბატონო პრეზიდენტო,

მოგვართავთ როგორც ჩვენს ლიდერსა და ევრაელი ხალხის მემკვიდრეს და გთხოვთ: ბაეროს განვალური ასამბლეაზე კენჭისყრისას არ დაუშვროთ მხარი პალესტინის ავტონომიის ცალმხრივ ცნობას და შეეცადეთ კონფლიქტური სიტუაცია დაკავშირდეს მოლაპარაკებების გზით.

ღრმა პატივისცემით:

არიელ ლევინი

საქართველოს მთავარი რაზინი

გურამ ბათიაშვილი

ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესის განვალური საბჭოს წევრი, მწერალი, ღრმაბატონი, საქართველოს სახელმწიფო პრეზიდენტის ლაურეატი

ელენე ბერკოვიჩი

ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესის განვალური საბჭოს წევრი, ევრაელთა კულტურულ-საგანგანათლებლო ფონდის დირექტორი, ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორი.

შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან

9 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტროში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრისა და ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესის დელეგაციის შეხვედრა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს შეხვდნენ ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ზისელსი, მწერალი, სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი გურამ ბათიაშვილი და ევრაელთა კულტურულ-საგანგანათლებლო ფონდის დირექტორი ელენე ბერკოვიჩი.

შეხვედრა გაიმართა ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესის ინიციატივით და მის მომზადებაში მონაწილეობდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში თემურ იაკობაშვილი და გურამ ბათიაშვილი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პროტოკოლის განყოფილების ხელმძღვანელი ბ-ნი ზურაბ ლომინაძე და აზიის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ზურაბ ალექსიძე.

შეხვედრაზე განიხილებოდა ორი საკითხი:

1. საქართველოს პოლიტიკური პლატფორმა ნიუ-იორკში ანტიისრაელურ, ანტიემიგრაციულ კონფერენციასთან – „დურბან-III“ დაკავშირებით.

2. საქართველოს პოლიტიკური პლატფორმა პალესტინის ავტონომიის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დასმული საკითხის – სახელმწიფოებრივი აღიარება და გაეროს წევრად მიღება – დაკავშირებით.

ევრ-აზიის ევრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ იოსებ ზისელსმა ბ-ნი გრიგოლ ვაშაძეს გადაუხადა მადლობა იმისათვის, რომ გამოხატა დრო ამ შეხვედრისათვის. მიმოიხილა საქართველოს ისრაელის ურთიერთობა ბიზნესმენების: რონი ფუქსისა და ზევე ფრენკელის დაპატიმრების ნეგატიურ ფონზე და აღნიშნა, რომ ევრ-აზიის კონგრესის წევრი გახლავთ ამ ორი კონტინენტების 25 სახელმწიფოს ევრაელები, მათ შორის, მუსლიმური სახელმწიფოების ევრაელები და კონგრესი იბრძვის ამ სახელმწიფოების, სხვადასხვა კონფესიების მოსახლეობას შორის საერთო მშვიდობისა და თანხმობისათვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, რომ ბიზნესმენების დაპატიმრებას არა-რა ზეგავლენა არ მოუხდენია საქართველო-ისრაელის ურთიერთობაზე, ისრაელი კვლავ რჩება საქართველოს მეგობრულ სახელმწიფოდ, თანამედროვე საქართველო ანვითარებს ურთიერთობას მეზობელ, მათ შორის მუსლიმურ სახელმწიფოებთან, მაგრამ არაბულ, მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავება არასოდეს არ იქნება ისრაელის ხარჯზე. ისრაელს ჩვენს ურთიერთობაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც ადრეულ წლებში ეჭირათ.

იოსებ ზისელსი: სამი წლის წინათ, ჩვენ გთხოვეთ სწორედ აი, ამ შემადგენლობით, როგორც დღეს ვართ, შესაბამისი პოზიცია დაგვეკავებინათ კონფერენცია „დურბან-III“ მიმართებაში. გვინდა მადლობა მოგახსენოთ, ჩვენი თხოვნის გათვალისწინებისათვის. დურ-

ბანის კონფერენცია ანტიისრაელურ ხასიათს ატარებს, ეს არის ანტიისრაელური პროპაგანდისტული კოალიციის შეკონინების ცდა და ჩვენ ვცდილობთ, პროგრესულ სახელმწიფოთა მეტაფორებს ვთხოვოთ დურბანის კონფერენციის იგნორირება. ახლა ისინი მესამე კონფერენციას ამზადებენ და ჩვენი თხოვნაც იგივე ხასიათისაა – საქართველომ გვერდი აუაროს კონფერენცია „დურბან-III“.

შემდეგ ი. ზისელსმა ისაუბრა საკითხზე, რომლის კენჭისყრაც 23 სექტემბერს გაიმართება ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. პალესტინის ავტონომია თხოულობს სახელმწიფოებრივ აღიარებას და გაეროს წევრად მიღებას, ეს კი ნიშნავს იმას, რომ გაუქმდება აქამდე მიღებული ყველა ხელშეკრულება, მათ შორის ოსლოს ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ისრაელის ხელისუფლებასა და ავტონომიას შორის. ი. ზისელსმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღიარება და ხელშეკრულებათა გაუქმება, გამოიწვევს პალესტინისადმი ისრაელის დახმარების შეწყვეტას, რამაც შესაძლოა განაპირობოს რეგიონში სიტუაციის გამძაფრება, ახალი სისხლისღვრა, არადა, პალესტინის ეკონომიკის მეტი წილი სწორედ ისრაელის დახმარებით არსებობს.

ი. ზისელსმა ხაზი გაუსვა მთავარ მიზანს: პალესტინის ავტონომია და ისრაელი დაუბრუნდნენ მოლაპარაკების მაგიდას, რადგან ამ რეგიონში მშვიდობა მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკებების გზით მიიღწევა. **გურამ ბათიაშვილი** სავეტით გაიზიარა ბ-ნი მინისტრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესმენების დაკავებას არა-რა ზეგავლენა არ მოუხდენია საქართველო-ისრაელის სახელმწიფოებრივ ურთიერთობაზე და ვერც მოახდენდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი იყო ორივე მესამეხარისხოვანი პოლიტიკოსისა და მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების სურვილი, ესეც თითო-ორიოჯი. ისინი მკითხველს ინფორმაციას საგანგაშო ინტონაციით აწვდიდნენ და ცდილობდნენ შეექმნათ ნეგატიური ფონი, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხს მშვიდ, გააზრებულ ატმოსფეროში განიხილავს, აქვე ისიც დასძინა, რომ ორივე მსჯავრდებულს კარგად იცნობს და მათ მალე განთავისუფლებას ისურვებდა.

პალესტინის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, გ. ბათიაშვილმა აღნიშნა, რომ სიტუაცია ძალიან ჩამოშვავს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მისწრაფებას. ამ მხრივ საქართველოს სამუხარო და მწარე გამოცდილება დაუგროვდა. გ.



ბათიაშვილმა გამოსთქვა იმედი, რომ გაეროში კენჭისყრაზე საქართველოს პოზიციის ჩამოყალიბებისას, საქართველოს ევრაელების აზრიც იქნება მიღებული მხედველობაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბ-მა გრიგოლ ვაშაძემ** ყურადღებით მოისმინა ევრაელ მოღვაწეთა მოსაზრებები და ბრძანა, რომ ეს საუბარი ცხადია, გათვალისწინებული იქნება, რომ ისრაელს საწინერეულო არაფერი აქვს, მას ჰყავს ძალიან ბევრი მეგობარი და თანამგრძობი.

საქართველო კი საერთაშორისო ორგანიზაციებში კენჭისყრისას ყოველთვის ითვალისწინებს აშშ-ს პოლიტიკურ ხედვას.

ბ-ნმა გრ. ვაშაძემ ასევე გამოთქვა შემფოთება თურქეთ-ისრაელის ურთიერთობის გაუარესების გამო და მიიჩნია, რომ ორივე სახელმწიფოს მეტაფორები გამოხატავენ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების გზას. რაზეც ი. ზისელსმა განაცხადა, რომ ურთიერთობის პოლარიზაცია განპირობებულია თურქეთის პრემიერ-მინისტრის ტაიპ რეჯებ ერდოგანის მისწრაფებით, გახდეს მუსლიმური სამყაროს ლიდერი. მანაც გამოთქვა იმედი, რომ ორივე სახელმწიფო შესძლებს დაუბრუნდეს ადრინდელ მეგობრულ ურთიერთობას.


იოსებ ზისელსმა დასვა საკითხი ტოტალიტარული რეჟიმის დანაშაულობათა შესწავლის თაობაზე. საქართველოში უკვე შექმნილია ოკუპაციის მუზეუმი, რომელმაც დიდძალი საარქივო მასალა მოიძია. კარგი იქნებოდა, თუ მოხერხდებოდა ამ მასალის გაცემა-გამოცემა. ი. ზისელსი თბილისის ოკუპაციის მუზეუმსაც ეწვია, სადაც მას მეგზურობას ხელოვნებამ-ცოდნე **ლელა წინუაშვილი** უწევდა.

თბილისის დიდი სინაგოგა 100 წლის თავზე

„ახალციხელის ლოჯია“ შთაშობაჲსა ხელუი

„... გარედან შენობა დაამთავრეს, მხოლოდ შინაგანი მოწყობილობა აკლია“
(გაზ. „დროება“ 1909 წ. 201)

„ისე დაამთავრეს, რომ დღეს შიგ ლოჯიასაც ასრულებენ. შენობა არის ფართო, ვრცელი, მაღალი, სულ აფურთხი ნაშენი. ამოდენა შენობის აგებაში მათ სხვა რჯულისა არავინ დახმარებია, სულ თავიანთის შრომით და ღირსის ჯიბით გააკეთეს იგი. ამისთვის მათ მეტად დიდი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ, როგორც იქნა, დაამთავრეს.“
(გაზ. „სინათლე“, 1911 წ. 5)



სკამის ესკიზი პირველი სართულის დარბაზისათვის




სკამის მოდელი პირველი სართულის დარბაზისათვის

(ამაზე ცალკე) და პასუხებიც არსებობდნენ, მაგრამ დაინტერესება ისევე დიდია, კითხვები კი ბევრი, ანდა არც ისე ბევრი, როგორც დაცალკეებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, არქიტექტორებმა, რამდენჯერმე მოვანყეთ განხილვა გამგეობის ოთახში, აზრები შევაჯერეთ და ძეგლთა დაცვის უწყებასთან შევათანხმეთ პროექტი (ამაზე სხვა წერილში), როგორც სჩანს, უფრო ფართოდ უნდა წარმოვადგინოთ ჩვენი ესკიზები და მოსაზრებები საზოგადოების წი-

ამ დღეებშიც ისეა, როგორც იმ დროს: „შინაგან მოწყობილობას“ დააკლდა ელფერი; დღესაც აღფრთოვანებას ინვესტს შენობის „ფართო, ვრცელი, მაღალი“ დარბაზები. დღესაც ჩვენთან დახმარებით და ჩვენივე „შრომით და ღირსის ჯიბით“ ვაკეთებთ მას, არც გაჭირვებაგამოუვლელობაა ჩვენთვის უცხო, მაგრამ როგორც იქნა დაინყეთ მისი მოვლა-პატრონობის ახალი ეტაპი.

ასი წლის წინ პაპაჩემი შაბათა ბოსტანაშვილი, (ბებია - მალქა კაცობაშვილი), მუშად მუშაობდა ლოჯიის მშენებლობაზე. ღირსი კაცი იყო და ასე იხდოდა ხარკს იმ თანამოძმეებთან ერთად, ვისაც ხარჯის განევა შეეძლო. მამისგან ვიცი და სხვებსაც უთქვამთ: ჩვენი, ახალციხელების ოქროს თუმნიანები ყრია ამ ლოჯიის საძირკველში. ამას შალვა თეთრუაშვილი დამემონებდა და სხვანიც. დღესაც ასეა: „ოქროს თუმნიანებს“ დავით იაკობაშვილი (მოსკოველი ბიზნესმენი) „აყრის ლოჯიას“, ახლა უკვე „თავზე“. მშვიდობა ბატონ დავითს! აი, ჩვენ კი - ახალციხელების შთამომავალი - საერთოდ, ყველა და ჩვენც, შაბათას შვილიშვილი - მე, მისი სახელის გამგრძელებელი და ჩემი ვაჟი დავითი, ჩვენი პაპისა და პაპისპაპის კვალობაზე ისევე ვიხდით ხარკს, უკვე, როგორც არქიტექტორები. ის, რომ ჩვენი წინაპრის ნახელავის მოვლის საშუალება მოგვეცა კარგი განცდა და ცოტა მეტიც, მაგრამ ამაზე სხვა დროს. სხვაც ბევრი გვაქვს სალაპარაკო და ახლა ჯობია იმ კითხვებზე პასუხების გაცემით დაინყეთ, რომლითაც ხშირად „ანუხებენ“ ჩვენი ლოჯიის გაბაის, კარგ



ხის ბარიერები ფანჯრების წინ კიბის უჯრადისათვის

ნაშე. ამიტომ ჩვენს წერილს გაგრძელებები ექნება და ეს ქრონიკები ისტორიასაც დასჭირდება (რასაც გულმოდგინედ ვეძებდი წლების განმავლობაში, დღემდე). ახლა კი, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. აი, რა ხდება ამჟამად ჩვენს ლოჯიაში: აქ წარმოდგენილ ფოტომასალასთან ერთად, საიდანაც ვიზუალური შთაბეჭდილება უკვე მიიღეთ, მინდა გითხრათ, რომ სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი დაინყეთ მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში (ივნისი და ივლისი წაიღო მოსამზადებელმა სამუშაოებმა, პროექტირებამ) და დავამთავრეთ 25 სექტემბერს. რომ ჰაშანას დღეებში ჯამათი ნახავს


კარგად მოვლილ ქალთა გალერეას, ქალბატონები კი, „(ყ)ებრათ ნაშიმ“-ის პირველი დამსწრეები იქნებიან. რა გავაკეთეთ: პირველ რიგში, შეცვლილი ელემენტები, უკვე ტრადიციული, ინტერიერის ფერთა გამას დავუმორჩილეთ. აყვარეთ და გავასწორეთ იატაკის ხის ფიცრები, დავფარეთ ფანერით და დაავაგეთ მაღალი ხარისხის ნიფელის პარკეტი; მოვანყეთ ახალი პოდიუმი. ყველაზე შრომატევადი სამუშაო გამოდგა ხის კარ-ფანჯრების გასუფთავება, საღებავის სქელი ფენის მოხსნა. აქვე სურათზე სჩანს, რომ ხის ბარიერს (მოაჯირს) ცეცხლის მიშველვაც დასჭირდა; ფანჯრების განიერი რაფები (80 X 120 სმ) დაიფარა კარგი ხარისხის მეტლახის ფილებით; ვინაიდან გალერიის ფანჯრები თითქმის იატაკის დონეზეა, მას ჰქონდა ხის რიკულიანი ბარიერი, უკვე მწყობრიდან გამოსული და მხატვრულად შეუფერებელი. ჩვენ გავაკეთეთ მაგენ-დავითის სიმბოლიკაზე აწყობილი ახალი ბარიერი. სწორედ მისი ესკიზებია წარმოდგენილი სურათებზე; აქვეა წარმოდგენილი რკინის კარის ესკიზი დასავლეთის ფასადის მეორე სართულისათვის (ორი კარი), რომელიც უკვე დამზადებული და ჩასმულია ძველი, წვინისგან შელახული ხის ორივე კარის ადგილზე. რაც შეეხება აქვე წარმოდგენილ სკამის ესკიზს და მოდელს: ეს სკამები გათვალისწინებულია პირველი სართულის სალონის დარბაზისათვის, სარემონტო სამუშაოების მეორე ეტაპზე, საშემოდგომო დღესასწაულების შემდეგ. რამდენიმე სიტყვა სკამის სიმბოლიკაზე, თუმცა უკვე ამოიცანით მასში უ - „ლამედ“, ებრაული ანბანის მეთორმეტე ასო-ნიშანი. დიახ, პირველი სართულის დარბაზის იატაკი წიგნის ფურცელივით



კარის ესკიზი გვერდითი ფანჯრისათვის (მე-2 სართ.)

წარმოდგება, საიდანაც ერთბაშად წარმოშლილან ეს ყელ-ყელა ნიშნები; არქიტექტურული სივრცე და ტექსტის სივრცე ერთმანეთს დაუახლოვდებიან. სხვა იდეები, პროექტები, პერსონები და სიტუაციები სხვა წერილში. ახლა კი, თქვენი პირველი შეფასების მოლოდინში ვართ. გილოცავთ რომ ჰაშანას ქალთა განახლებული გალერეიდან.

პატივისცემით, შოთა ბოსტანაშვილი



ხის ბარიერები ფანჯრების წინ ქალთა გალერეისათვის



ქალთა გალერეის მოაჯირი იბრუნებას პირველ სართულზე

5772 წლის ჯადენდახი

თბილისის საგანმანათლებლო ცენტრმა „თიფერეთ ცვი“ და ქოლელ-კლუბმა — „მიშფახამ“ რომ ჰაშანის წინ გამოსცა ჩინებულად ილუსტრირებული 5772 წლის



კალენდარი. კალენდრის სათაო გვერდზე მოთავსებულია ქართველ ებრაელთა სულიერი ლიდერების გაბრძენი, მოშე ჰაკატანისა და აპარონ ჯანაშვილების ჯგუფური პორტრეტი და ბიოგრაფიული ცნობები.

კალენდარი გვანჯდის ცნობებს თუ ვისი იორცაითი აღინიშნება ამა თუ იმ თვეში, საგანგებოდ გამოჰყოფს თვის გრიგორიანულ და იუდარისტურ რიცხვებს, ასევე გვამცნობს დღის განრიგს — თუ რომელი ლოცვა რადროს არის მიზანშეწონილი.


გამოვიდა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების ყურნალ „ნოსტალგია“ 2011 წლის მეათე ნომერი (მთავარი რედაქტორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რედაქტორი-ვიოლეტა ბუზიაშვილი) მასში შეგიძლიათ ნაიკითხოთ: ლექსი „შენ აქ ხარ“, ციკლიდან — „პალესტინა, პალესტინა“, ნანყვეტი შალვა დადიანის რომანიდან „გვირგვინების ოჯახი“ — „ბენოია“, ნანა შაბათაშვილი-დავარის ლექსები, ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნეოლი გიორგი ხუზაშვილის შემოქმედების შესახებ, ნესტან კუტივაძის „მე მოველ შენთან! მოვედი შენდა სამსახურად, ჩემო ისრაელ!“, „ადონა ელოი საბაოთ“... (დეკანოზ ექვთიმეს (ჩივაძეს) ესაუბრება დარინა ყურუა), ვიტალი კაპანაძის „ილოს პორტრეტი“, ვიოლეტა ბუზიაშვილის „ჩემი მეგობრები ჩემი განძია“, მანანა არონაშვილის — „ამ-ღერებული სტრიქონები“, სიმონ არველადის — „ქა-

„ნოსტალგია“ №10



რთველი მოქანდაკე და მისი შეგირდი ებრაელი გოგონა“, შორენა ფხაკაძის — „მაყვალა ფიჩხაძე“, ავთანდილ ნიკოლეიშვილის — „ალიის ორმოცნოვანი ისტორიის მატრიანე“, თამარ ლომთაძის — „შაუმიანი — ებრაელთა უბანი“, ლედი ჯინჭარაძის — „არდავიწყება“, ნინო გოგლიჩიძის-ძიძიგურის — „თვალცრემლიანი გამოგვაცალეს“, დარეჯან ჩხიროძის — „ის რაც ნამდვილია“, მაგული ბასილაძე-მინდიაშვილის — „მეგობრობა კვლავ გრძელდება“, ზურაბ ჯავახაძის — „ქუთაისელი ებრაელი სპორტსმენები“, რუსუდან შამელაშვილი-ხექელაშვილის — „მოგონებანი მამაზე“, ალექო ძონენიძის — „სიყრმის მეგობარი-ალბერტ ჩაჩაშვილი“, მაგული გიორგაძის — „ლირსულად იცხოვრა“, „წერილები ისრაელიდან“, თემურ ძიძიგურის ფოტოგამოფენა საქართველოს ხელები.

გიდოცავთ!



1. მოსეს ხუთნიგნული
2. გულშემატკივარი
3. დევნილი ისრაელის სიმბოლოდ მიჩნეული ყვავილი
4. ქალაქი ნიდერლანდებში, ამსტერდამის მახლობლად
5. ხის კარადა, რომელზეც გემის კომპასია მოთავსებული
6. აუგად (განსაკუთრებით ებრაელთაგან) მოსახსენებელი ოსვენციმის გერმანული სახელწოდება
7. ებრაული განმანათლებლური მოძრაობა, რომელსაც დასაბამი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიეცა. მისი ფუძემდებელი მოსე მენდელსონი იყო
8. პაემანი, რომელზეც ფრანგი ქალები იგვიანებენ
9. კვირის დღე, რომელსაც ებრაელები ტრადიციით პატარძლად, დედოფლად მოიხსენიებენ
10. მაშიახი

შეადგინა არკადი ქურჩიშვილი

ისრაელის თეატრი თბილისში

ჩვენს დედაქალაქში უკვე მესამედ ტარდება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. წელს ფესტივალში მონაწილეობენ: აშშ-ს, რუსეთის, უკრაინის, გერმანიის, ლიტვის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, სომხეთის, იაპონიის, ირანის, ინდოეთის, სლოვენის და სხვა ქვეყნების თეატრები.

ამათ შორისაა ისრაელის „კლიპას ვიზუალური თეატრი“.


„კლიპას ვიზუალურმა თეატრმა“ 16-17 სექტემბერს კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში წარმოადგინა „ობსერვატორია“.

კლიპას თეატრი 1995 წელს დააარსეს თელ-ავივში

იდით ჰერმან-მა და დიმიტრი ტულპანოვმა. ეს არის უნიკალური თეატრალური ენის თეატრი, რომელიც აერთიანებს ცეკვას, დიზაინს და მუსიკას. დასი ერთობ მარტივი საშუალებებით წარმოსახავს ყოფისა და ირეალურ სურათებს.

სპექტაკლი უცნაურ გარემოში მიმდინარეობს — მაყურებელი სცენაზე, იატაკზე ზის, აქვე შუქის, მოძრაობის მეოხებით იქმნება საინტერესო სანახაობა, რომელიც განსხვავდება დრამატული თეატრის სტილისტიკისაგან.

17 სექტემბერს სპექტაკლს დაესწრო ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი.



დედა — სიმა, მეუღლე — მაია, შვილები — ლიკა და სოფო, ძმა — თამაზი, რძალი — იულია, ძმისშვილი — მიშკა, სიძე — ირაკლი მანაშერიძე, შვილისშვილი — თამი. სიდდერი — იზო. მძახლები — მიშა და ინგა მანაშერიძეები ოჯახით. დეიდა — ციალა კრიხელი ოჯახით. ბიძები — ბებორ კაკიაშვილი ოჯახით, მიშა და გულიკო კაკიაშვილები ოჯახით, გერცელ და ნანა კეიდარი ოჯახით, ბიცოლა — რუსიკო კაკიაშვილი ოჯახით. მამიდა — თამარ პატარკაციშვილი ოჯახით. ცოლის ძმა — გოჩა ძირკველიშვილი ოჯახით. დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა რუჰან (როზო) მოსეს ძე ბინიაშვილი.



დაგუჟანგაპლნი და გამომცემპლნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირაბულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამარტლოს
მკმრ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
ბურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16
8-557
9771987898003